

# ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀଙ୍କ ପାଇଁ

მანიური კალიგრაფიაზე ახალი გამგებელი ჰყავს



საბარეზო მუნიციპალიტეტის საპრეზიდენტო სხდომაზე გილრი ლომის გებრიალა და სორიამიას გილაგასოფი აგავი ნორის გორგა გილოზი.

# କବି ପରମାଣୁ



საბურგვე მანიშვილის კალიგრაფიული განვითარების თათვისტება

ასე, მაგალითად, უდაბნოს რწმუნებულის  
მზევინარ ჯაჭვლიანის მიერ გაკეთებული  
ინფორმაციით, უდაბნოს მოსახლეობას  
სასტელი წყალი დიდი შეცერხებებით  
მიეწოდება და ეს გრძელდება რამდენიმე  
იმე თვეება. ასევე, მოსმინა ის პრობლემების,  
რომლებიც დაუყოვნებლივ გადაჭრას  
მოითხოვს:

- სოფელ უდაბნოს მცხოვრები ნინო ჯონაძე ითხოვს სახლის დაზიანებული სახურავის შეცვლას;
  - ასევე, სტიქიისაბინ დაზიანებული სახლის სახურავის შეცვლას ითხოვნ პატარა ჩაილურის, მანავის რამდენიმე

მცხოვრები;  
— მდინარე იორის მიერ შეცვლილი კა-  
ლაპოტის გამო 200 მეტრის სიგრძეზე სა-  
შიშროება ექნება და ზიანდება უჯარმაში  
მცხოვრები შეიდი ოჯახის საგარმიდამო-  
ნაკათები და სახლები.

ლანგვაზე



კენჭისყრის შეღვაგად საკრებულოს დაუტემუტებამ (30 დეკემბერიდან და გეგუმბატებამ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მისცათანხმობა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე გორგი ლოდაძის დანიშნულებაზე დაინიშნა. სამუშაოს მიზანი არ იყო გამოყენების დამტკიცება, მაგრამ მის მიზანი და მიზანი განსაზღვრული იყო.

საქართველოს პარლამენტის მუნიციპალიტეტის საგარეო დებულების საგარეოს მუნიციპალიტეტი დან, პარლამენტის საგამოიხმოვთ კომისიების სიის თავმჯდომარე თინათინ ხელშესახვა.

**ହେଉ,** କାହାରତଗ୍ରେଣ୍ଟ୍ ପ୍ରେସରିଶ୍ବରିଙ୍କିର୍ଦ୍ଦୀୟ ଏବଂ  
ଅରାଶାମତାବରନ୍ଦିର ଉର୍ଧବାନ୍ଦିଶାଚିର୍ଯ୍ୟିବିଲ୍ ଫାରମ୍ବନ୍  
ମାଦର୍ଗବନ୍ଦ୍ରିଯବିଲ୍.

2004-2008 წლებში დასაქმებული იყო  
სასოფლო-სამეურნეო ბიზნესში, 2006-2012  
წლებში მისდევდა სხვადასხვა სახის ბი-  
ზნეს-საქმიანობას.

პატარმეულში, გოგლა დეონიძის სახლ-  
მუზეუმის კიბე ავარიულ მდგომარეობა-  
შია, რის გამოც ვერ ხერხდება სახლ-  
მუზეუმში დამთავრებადოთა მოძახვა:

სულიერ დამბალოს მოსახლეობის  
ერთი ნაწილისათვის სასმელი წყლის  
მიწოდება ჰიანურდება, რადგან ჰაბურ-  
დილისათვის რეზერვუარია შესაძენი და  
ალექტროენერგიის ჩართვის ნებართვაა  
საჭირო სს „კახეთის ენერგოდისტრი-  
ბუკიის“ საგარეჯოს სერვის ცენტრის  
ხელმძღვანელობითან.

ამავე თაობირზე დაისახა დინისძიებები  
აქ დაყენებული საკითხების მოსაგვარე-  
ობა.

საბარეზოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხ-  
დომაზე საბარეზოს მუნიციპალიტეტის ბამბე-  
ბლობის კანდიდატის გიორგი ლოლეას მიერ  
შარმოდგენილი სამოქადალო გეგმა და სტრატეგია

მოგესალებით პატივცემუ-  
ლო საკრებულოს დეპრეზო;  
მიღესალები საბარეზოს  
მაჟორიტარ დეკუტატს!

ჩემთვის პატივია დღეს თქვენს წინაშე გამოსვლა და იმ პროგრამასა და პრიორიტეტებზე საუბარი, რომელსაც ქართველმა ხალხმა 1 ოქტომბერს მისცა ხმა და ქვეყანაში ძირებული გარდატების იმედი გააჩინა.

გამგებლად არჩევის შემთხვევაში, სწორედ ეს პრიორიტეტები იქნება ჩემი, როგორც გამგებლის, მთავარი სამოქმედო გეგმა და სტრატეგია.

დღეს მე არ ვაპირებ თეორიული  
და ზოგადი ხასიათის განცხადებების  
კეთებას თვითმმართველობის ოო-  
ლის გაზრდასა და საქრებულოსა და  
გამგებლის ურთიერთობების შესახებ.  
დიდი იმედი მაქვს, რომ ძირებული  
საკითხი, რომელიც კომპეტენციებს,  
საბიუჯეტო დამოუკიდებლობას და  
მუნიციპალიტეტებისა და ქალაქების  
უფლებების ზრდას შექება, ქვეყნის  
პარლამენტის მიერ მიღებული ახალი  
კანონებითა და თვითმმართველობის  
დაგენერილი რეფორმით მოწესრიგდე-  
ბა და სისტემა უფრო გამართული და  
დემოკრატიული გახდება.

დღევანდელ ვითარებაში კი, ჩვენი  
ამოცანა უნდა იყოს, მაქსიმალურად  
გამჭვირვალედ, მოსახლეობის ჩართუ-  
ლობით, საკრებულოსა და გამგეობის  
შეთანხმებული მოქმედებითა და ცენ-  
ტრალურ ხელისუფლებასთან კოორ-  
დინაციით მივაღწიოთ მაქსიმალურ  
წარმატებას ჩვენი მოსახლეობის სა-  
კეთილდღეოდ.

օմ Շեմտէեցածո, տպյօ դժյա տէզեն  
մյ նօրօնաս ցամոմիւծեածյօթ դա Շյես-  
ձլյօթլոնաս մոմցյօթ, Շյմցյաց ռած-  
ցյնօմյ Վլուս գանմացլոնածո զըմսեա-  
յրո սացարյչուս մշնօնցուածոնցյօթե,  
յցըլա հիմո մոյմյցյօթա, Յորյցյալ րօցմո,  
սացարյչոյցլյօթուան դա ևայրյօթյուլո-  
ւտան յրտոնձլոցո սայմօնօնօտ, Ցոն-  
կյուլը Եօյցյօնուան դա ևայրուո ցածրա-  
յացիոլյօթյօնու ունենա նայրնաեցո.

ეფუძულო გამოყენია იქნება.  
რამდენიმე თვის განმავლობაში  
ჩვენ შემოვიარეთ საგარეჯოს მუნიც-  
იპალიტეტის ყველა სოფელი, ვესაუ-  
ბრეთ ასეველობით აღამიანს, შევედით  
მათ ოჯახებში და მოვისმინეთ მათი  
პრობლემები. ჩვენი სოფლებისა და  
ქალაქ საგარეჯოს მოსახლეობასთან  
ერთად ვმსჯელობდით პრიორიტეტებზე,  
მთავარ და უმწვავეს საკითხებზე,  
რომელიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტიას  
მოითხოვს. ერთად ვსაუბრობდით  
იმ გრძელვადიან გეგმებზე, რომელსაც  
მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სი-  
ძლიერებულდებოდა.



ეპისტოლები

წ ემი ამოცანა იქნება, რაც შეი-  
ძლება მეტი არასაბიუჯეტო ფი-  
ანსური რესურსების მოზიდვა ისე-  
თ უმნიშვნელოვანები პროგრამების  
ასაფინანსებლად, რომელიც საბიუ-  
ჯეტო სახსრების სიმწირის გამო-  
ყენელთვის პრობლემურად რჩებოდა.  
მას დამტკიც

მაგალითად:

შეუძლებლად მიმაჩნია საბავშვო  
აღის პედაგოგების ხელფასი საა-  
სებო მინიმუმზე მნიშვნელოვნად ნა-  
ლები იყოს;

უმნიშვნელოგანესია, სერიოზული  
აფინანსება მოვიზიდოთ ჩვენს მუ-  
რიციპალიტეტში ახალგაზრდობის  
აჯანსაღებისთვის, ახალი სპორ-  
ტული კომპლექსების მოწყობით  
წერთნების წახალისებით და  
ანსაღი ცხოვრების წესის პროპა-  
რანდით. საგარეჯოს ყოველთვის პე-  
რი და რაიონის და ქვეყნის სასახელო  
აღავნები და აბსოლუტურად დარწ-  
უნებული ვარ, რომ აღემგატური და-  
ინანსების პირობებში კიდევ უფრო  
ეტ წარმატებებს მივაღწევთ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვენი აზერბაიჯანელი თანამოქადაკებისთვის ინტეგრაციის პრო-რამების დამტკიცება. საჭიროა ორმუდანლოში საბავშვო ბაღების ართული ენისა და კულტურის ენტრებისა და სპორტული კომ-ლექსების შექმნა. მნიშვნელოვანია ბორტის - როგორც მოსახლეობის ინტეგრაციის მძლავრი იარაღის გამ-უნება.

მეტება

სახოფლო გზების) პრობლემა. სრული რეაბილიტაცია ჩავუტაროთ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას – საბავშვო ბაღებსა და სკოლებს, მუნიციპალიტეტი უზრუნველვყოთ თანამედროვე სტანდარტების ბიძლიოთებით, სამუსიკო სასწავლებლებით, საკურაო სკოლებით და სხვა.

ესპონდა

**კ** მნიშვნელოვანებია, მენიცი-  
პალიტეტში ხელმისაწვდომი  
და კვალიფიციური იქნას ჯანდაცვის  
სისტემა. სოფლის ექიმებით დაწყე-  
ბული, სასწრავო, საავადმყოფო, ამ-  
ბულატორიები მაქსიმალურად უნდა  
მივუახლოვთ თანამედროვე სტანდ-  
არებებს და მოსახლეობის საჭიროე-  
ბებს.

ခေါ်မဒ္ဒန

დავით გარეჯის სამონასტრო კომ-  
პლექსი უნდა ვაქციოთ ჩვენს სავ-  
იზიტო ბარათად მოელს მსოფლიოში,  
რაც ერთი მხრივ, თავად მის რეაბილ-  
იტაციას დაეხმარება, ხოლო მეორე  
მხრივ, ტურისტული ინფრასტრუქ-  
ტურის შექმნით მუნიციპალიტეტში  
დამატებითი სამუშაო აღგილების  
გაჩენასა და ფინანსური რესურსების  
მოზიდვას შეუწყობს ხელს.

**მეშგილე** — ყველაზე მნიშ-  
ვნელოვანი და პრიორიტეტული —

**ს** აგარეჯოს მუნიციპალიტეტი  
სრულ მზადყოფნაში უნდა შეხ-  
ვდეს საქართველოს ხელისუფლების  
მიერ დაგეგმილი სოფლის მეურნეო-  
ბის განვითარების ფონდის შექმნას.

წვენ ყოველდღიურად უნდა ვიშრო-  
მოთ იმისთვის, რომ პროგრამის ამო-  
ქმდებისთანავე მუნიციპალიტეტის  
სოფლები და მოსახლეობა მზად იყოს  
რეალისტური, კარგად გათვლილი და  
სწორად დაგეგმილი პროგრამებით,  
რომელიც საგარეჯოს მუნიციპალი-  
ლეტში სოფლის მეურნეობის განვი-  
თარებას და შესაბამისად, მოსახლე-  
ობის დასაქმებას და შემოსავლების  
ზრდას შეაწეობს ხელს.

ჩემს მიერ ჩამოთვლილი პრიორ-იტების ერთ ნაწილი, ბუნებრივია, საგარეჯოს 2013 წლის ბიუჯეტში უნდა აისახოს, ხოლო მეორე ნაწილი, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ჩვენი თანამშრომლობის სტრატეგი-ის ნაწილი უნდა გახდეს, იმისთვის რომ, მაქსიმალურად წარმოვადგინოთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ინ-ტერესები და საჭიროებები ცენტრალური ბიუჯეტით დაგევმილი პროგრამების განხორციელებისას.

ძალიან მოკლედ ეს იქნება ჩემი  
პრიორიტეტები გამგებლად არჩევის  
შემთხვევაში. ოქვენი მხარდაჭრის  
იმედი მაქტს.

დიდი მადლობა ყურადღებისათვის!



## ପ୍ରକାଶନକାଳୀମାତ୍ରା

## କବିତାରେକାଳ

### სკოლის შენობის ახალგეგმვები

# როგორც იპნა გაიცემ

О тორմյջանձութ սաճարու կյուղամի  
սեալու սաճվացլու վլուս ճասաճյուսո-  
սատզու 1300-մեջ մուժացլու որուցեպուծա.  
մուժացլու այսու և մուժացլուս ճա-  
տաճու սաճվացլու դարտու չյունձութուս  
շամր այ բաժանումը վլուս մյշագունջուցիու  
որ ցալու մոմանարյունքներ  
կանու վլուս ծուլումը յե մյշագունջուցիու  
կանու սաճվացլու որ մյենօնամի թարցեցուծա,  
— մորուաց սամիսարտյլուս սակյուղու  
յորպայսես ճա գանցու սանցունիս 60-ան  
վլուցի աշենքնու յարացուուս որսարտյլուս  
մյենօնամի յարացուուս 9 մարտի, ուրու  
սուցլուս անրցը սանցալու կյուղուս  
ճանցրցաս գաճարինուուս ճանուու — բա  
սայլասու ուտախու, բույլասաց, բուգուրց  
ուրպայան, „սայլու յենուու յարացա“, բառ ար  
ճանցուուս յայիրութուցա, յե մյենօնա,  
բույլուս յարանասիրաց ամարտուցիուծա  
սաճվացլու ճանցենքնու յարացուուս յար-  
չուուս յարացուուս մասնաւու մասնաւու



օրորմյացանցութեա զա լամբացութ Տաջարո  
Տշուղյածիս աեալու Մշենքեցիս մշենցեցուցու  
ծաս. մատու Մշեօրյածիու, յը մշենցեցուցեցիս  
աեալու Տախիցանցու Վլուս գալիցիամու  
յնճա գասրայլացեցուցու զա Մշեսպատուցու  
յիշեալույաբացուածո. Տյուղուս Մշեսպատուցու  
ան զամուցունա աեալու Տախիցանցու Մշենքեցիս  
յարտուցանունա յըսունուց, Ռաց Տայման  
Տանէ աեարյեցա մնաեցուու ուցալ-յշուուս  
յց ոյսո, Ռոմ Տյագըթօյուսու զշուցեծո ու ու  
զուցանց ոյսո թածյացեցույու այէցուս կուած  
- մոյսեթրյեցուա յու ամ Մշենքեցիս մշենցեց  
դառթմյացու դրուուտցութեա? յէցեցիս զալ  
Ռմացածիս յոյրու Մշենցու Տյուղուս ունանա  
Ռոմ Տախիցանցու Վլուս օվշրյեցուա լու  
մշենցեցուա գասրայլացեց ար Եռուցուցուա  
մշենցեցուա գասրայլաց արանանու Տա

— ალბათ ზაფხულის არდადეგების დროს დაიწყებენ და მოამთავრებენ სკოლის შექნებლობას, — ამ იმედებით დატოვეს ჯერ მოსწავლეებმა და შემდეგ მასწავლებლებმა სკოლა, იმ იმედით, რომ ახალ სასწავლო წელს სწავლას ახალ სკოლაში დაიწყებდნენ. თუმცა, ჩაიარა არდადეგებმა და სკოლაში დაბრუნებულ პედაგოგებს არა თუ ახალი შენობა, არ-ამედ ძველ ადგილზე ისევ ძველი სკოლა დაუხევდათ, რომლის დემონტაჟის სამუშაოები სასწავლო წლის დაწყებას დაექო-თხვა. ისე, რომ მოსწავლეებიცა და პედა-გოგებიც დამსწრე და ოკითხმისადამართვა ადმინისტრაცია ამ „ისტორიული ფაქტისა“. ამის გამო მოსწავლეთა ერთ ნაწილს სწავლის დაწყება სოფლის ძველი ამ-ბელატორია-პოლიკლინიკის შენობაში მოუხდათ, სადაც მინიმალური პირობებიც კი არაა სასწავლო პროცესის ნორმა-დაურად წარმართვისათვის. და როგორც საქმიდან ჩანს, ალბათ მომავალი წლის ზაფხულის ბოლომდე მოუწევთ აქ სწავლა.

რაც შეეხება სკოლის ახალი შენობის  
მშენებლობას შპს „ბალდაცრემშენის“

მშენებლებმა ამ თვენახევრის წინ „ნავსი გატეხეს“ და დაიწყეს ეს 730 ათასზე მეტ ლარიანი ლირებულების მშენებლობა. ეს იქნება თანამედროვე სტრუქტურულის დონეზე აღჭურვილი სამსართულიანი შენობა, 12 საკლასო და სხვა კაბინეტ-ლაბორატორიებით.

სადღესოდ მშენებლებმა უკვე მოახ-  
წრეს შენობის გვენდამენტის მომზადება,  
რეგისტრირობის სსნარით შეიკრა მტკიცე  
საძირკვლი, რომელმაც უნდა ზიდოს მთვ-  
ლი ამჟღალა შენობის სიმძიმე.

— ამ საძირკვლის ჩაყრას და გაშრობას საკმაო დრო დასჭირდა. ოუ საძირკველი

სათანადოდ არ იქნება გამშრალი, ისე ის კერ გაუძლებს ამხელა სიმიმებს, — განაცხადა ჩვენთან საუბარში სამშენებლო სამუშაოთა მწარმოებელმა. ზ. სუბანოვმა, — ისე, რომ ამას საკმაო დრო დასჭირდა. საძირკველში უკვე ჩატეტონდა შენობის მზიდი საყრდენების ლითონის კონსტრუქციაც. ამ დღებში ჩვენ მივიღეთ ჩვენთვის საჭირო მასალები ეწ. „აბალოვები“ გასაკეთებლად, რომლითაც შევკრავთ ყალიბებს და შევავსებოთ სათანადო ბეტონის ხსნარით. საბჭოთა პერიოდში იყენებდნენ მზა ეწ. რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს, ახლა კი ამ უკელავერს ადგილზე მშენებლობის დროს ვაკეთებოთ, რაც უზრუნველყოფს შენობის სიმტკიცეს და იგი უფრო მაღალსაიმედოა. ცხადია, ყველა ამ სამუშაოს თავისი წესები და ვადები აქვს, რომელთა დარღვევას უარყოფითი შედეგების გამოწვევა შეუძლია. ამიტომ, ყველავერი გაწერილ ვადებში და წესების დაცვით უნდა შესრულდეს, მით უმტკიცეს, რომ ამ შემთხვევაში საქმე ბავშვებს, მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ეხება.

რაც შექება მშენებლობის დაფინანსებას, როგორც შევიტყვეთ, პირველ ეტაპზე უკვე ჩარიცხულია 221 700 ლარამდე და ოგი კვლავაც დაფინანსდება, ისე რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა არ მოხდა, იორმუდანლოიერი მოსწავლეები წელს თუ ვერ იზეიმებს, გაისად მაინც იზეიმებენ ახალ სასკოლო შენობაში ახალმოსახლეობას.

### 3. ლაბანოვისი

କବିତାରେ

მათერიალური – ეორცები და გიანეზოლური



სათვის რგა გამოცდას აბარებენ, ახლა კი  
რაღაცნაირად „განიტვირთება“ მათი ემო-  
ციები. ამასთან, მოსწავლეს შანსი ეძღვვა  
ორჯერ სცადოს ბედი სასურველი ქულის  
მოსაპოვებლად. მეოთომეტე კლასში კი  
ისინი აბარებენ გამოცდებს ძირითად სა-  
გნებში – ქართული ენა და დიტერატურა,  
მათემატიკა, ისტორია და უცხო ენა. მხ-  
ოლოდ ამის შემდეგ მიყცემა მოსწავლეს  
საშუალო განათლების ატესტაციი.

აღნიშვნელ საკითხებე გავესაუბროთ  
საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის მე-  
თერთმეტემდასელების: საღომე ქოქაურს,  
ნათია ბჟარიაშვილს, ფიქრია ლაფაჩიშ-  
ვილს, მერი ჭავჭავაძეს, გორგი ურდუ-  
ლაშვილს. აი, რა გვითხრებ მათ:

— ინფორმაციის მიღებას ჩვენი მდგრადა-  
რება მოჰყვა, რადგან შეგუძული ვიყავით,  
რომ გამოცდა XII კლასის დამთავრები-  
სას უნდა ჩაგვებარებინა. საქროოდ სიახ-  
ლე პატარა შიშის იწვევს ყოველთვის. მა-  
გრამ შემდეგში, როდესაც გავაანალიზეთ,  
რომ ოთხი გამოცდა უნდა ჩაგვებარებინა  
მომავალი წლის ე.ი. მეოთხემეტე კლასის I  
სემესტრში, ოქტომბერში, ცოტა არ იყოს,  
დავმშვიდდით. ერთბაშად რამდენიმე გა-  
მოცდის ჩაბარება, მართლაც მნელი იქნე-  
ბოდა გონებრივად, ფიზიკურადაც და ემო-  
ციურადაც. ოქტომბერში ჩვენ ჩაგაბარებოთ  
ოთხ გამოცდას: ქიმიაში, ფიზიკაში, ბიო-  
ლოგიასა და გეოგრაფიაში. ეს საგნები  
არ არის მარტივად და ადვილად ჩასაბა-  
რებელი, რადგან სწავლებისას იყო ასეთი  
შემთხვევაც — ჩვენ მერვე კლასში საერ-  
თოოდ არ გვისწავლია ქიმია, ან ცალკეულ

საგნებს გსწავლობდით ეტაპობრივად  
სემებსტრულად. ოქტომბრის გამოცდების  
შემდეგ, ჩვენ გვექნება შანსი გადავაძარ-  
ოთ ეს საგნები გაზაფხულზე – მაისს  
თვეში. ამასთან, მეთორმეტე კლასის სას-  
წავლო წლის ბოლოს ჩვენ ვაბარებთ გა-  
მოცდებს ქართულ ენასა და ლიტერატუ-  
რაში, მათემატიკაში, ისტორიასა და უცხო-  
ენაში.

მეთერთმეტე კლასი დატვირთული და  
საპასუხისმგებლოა ჩვენთვის, მაგრამ ოქ

ԲԱՌԵՐԱ ՊՈԵԱ ՈԼԱՎԻՋԱ

**13 ნოემბრი – 100 000 აოცაოს ქანების დღე**

კულტურულ აღ-ინგა სიონის ლაპროდან მიმდევ კვარი ჩამოაგდო და მიზანი და დანართება. გუშგათი სულ გადაკერძა სიონს და მის აღგილება თავისი “გილო საკადომი დაიხგა”, ხელ საბაცებებოდ აღმართული ჟიცარნაბით აღიოდა და იქმდან აზიორებულ კალას პოვალიერებდა. სიონის ტაძრი-დან მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ეგიოზასი ხალები გამოატანინა და მისგანვე აგებული “ზედის” შესასვლელთან პირადება დაკაყრებინა. პრძანა, რიბ-რიბად მოყვანათ ყველა რისსტიანი, კალიცა და კაციც, ყველას ცალკეულად ჩაეჭინდა და დაუცურთხებინა იმ ხალებისთვის და ზიცით უარესოთ რისსტის რკეული. ხოლო ვინც არას არ აძარულებდა, იმვე თავი ზარეპვეთათ და მოკვარში მაროლდათ. კულალი სიონის ცაგუგათ-ვზე იჯდა და ხეძავდა, როგორ მიჰყავდათ მის მეომრებს ძარიველები და სომხები, როგორ იბრძოდნენ, პეტელნენ თავებს და ისროლნენ მოქა-ვში თავსა და ფას ცალ-ცალკე. მხოლოდ მცირე სულმოკლენი შეურა-ცხეყოფნენ მიმდევ ხალებს და უარყოფნენ რისსტიანობას.

დასავლეთისკენ მსრბოლ ჯალალების  
დაწვრილებითი ცნობები ჰქონდა ქართ-  
ველთა საუკუნივანი უძლეველობისა და  
აზიაში მათი პირველობის შესახებ. მონ-  
ღლოლთაგან ძლევალს იმედი ჰქონდა ქა-  
რთველების დამარცხებით (მუსულმანთა  
დამანგრეველ-დამამცირებელი ქვეყნის)  
შედასულ სახელს აღიდგენდა. ამ მიზნით  
ჯალალებინმა ერანში ფეხის მოკიდე-  
ბა და გამაგრება სცადა და მოწადინა  
თავი კველა მაჭმადიანის მფარველად და  
საარსელთა ძლევამოსილების განმახლე-  
ბლად მოწვენებინა. მან გადმოიირა ზო-  
გიერთი მახლობელი აღმოსავლეთისა და  
საქართველოს ყმადნაფიცი მუსლიმანური  
სამფლობელოების მმართველები და მათ-  
გან დახმარებაც მიიღო.

ლაშა გოორგის სიკვდილიდან მესამე წელს ჯალადებიმა აღარბადაგანს (აღერბეჭანს) მიაღწია „ქუეფანად მხარებრძელთა”. ჯერ კიდევ მოხუცმა მუჟამშედ-მა სცადა აღარბადაგანის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა, მაგრამ მონდოლთაგან დევნილს სიკვდილმა მოუსწრო. ჯალადებინი კი სამხრეთ აღარბადაგანში ნაწილობრივ მომაგრდა და საქართველოს მთავრობას შექარით და ქადილით საქსე მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც ნებაყოფლობით დამორჩილებას თხოვდობდა. საქართველოს მთავარსარდლობა ითანებოდა მხარებრძელის მეთაურობით ჯალადებინს არაფრად აგდებდა. ეტყობა მათ თავიანთი თავი დაკით აღმშენებლისა და თმარის დროინდელი ხანის მსგავსად, წინანდებურად მხსობებელ აღმოსავლეთში პირობების მოქარნახელუძღველ ბატონ-აპრონიად მიაწნდათ, რის გამოც პოლიტიკური სიფხოზე და სამხედრო სიფრთხილის აუცილებლობის შეგნებაც მოდუნებული პერიოდით ამავე მიზეზით სამომარი სამხადის სიძლიერითა და სისტრო.

ჯადალებინმა კი უმაღლ მოქმედება  
დაიწყო. იგი 1225 წ. შემოღომას დაიძრა  
და მრავალრიცხვობანი, კარგად შეიარა-  
ღებული დაშქრით გადმოლახა საქართ-  
ველოს საზღვარი, დვინის სანახებს შეე-  
სია და მის ოხრებას მაჟყო ხელი. იწყეს  
„ხოცად და მოსრვად ქრისტიანეთი. ეს-  
რეთ უწევალოდ მოსრვებებს, რომელ არცა  
თუ დგებათა და ჩჩვილოთა ყრმათა რიდებ-  
დებს“.

ამის შემდგომ ქართველებმა მზადე-  
ბა დაიწყეს, მაგრამ ჯალადედინი დიდი  
სისტრაფით მოქმედებდა. იგი მაღლობზე  
მდებარე გარნისის მიდამოებს მიადგა და  
თავისი დაშექრით გარნისის დაბლობში  
დაბანაკდა. რუსულანმა მხედარომთავრად  
მოხუცებული ივანე ათაბაგი დააღინა. თუმცა ქართველთა მთავარსარდლობა არ  
ჩქარობდა და საქმეს აჭიანურებდა, მაგრამ  
ჯალადედინმა უმალ იერიში მიიტანა.

ივანე ათაბაგმა მოწინავე რაზმის  
მეოთაურობა სიმამაცითა და მხელით  
გამორჩეულ ორ მმას, შალვა და ივანე  
ახალციხელებს დავგადა. თვითონ კი  
ძირითად ნაწილობას ერთად დარჩა გადა-  
ამწყვეტი იქრიშის მისატანად. უშიშ-  
რად შეება თორ-ჯავახელების მცირ-  
ერიცხოვანი მოწინავე ლაშქარი ურიცხვ  
მტერს. ექვსი ათასი ქართველი იბრძოდა  
ორასი ათასი მუსულმანის წინააღმდეგ.

თავგანწირულად იბრძოდნენ მშები, და ამაოდ ითხოვდნენ მაშველ ჯარს, მა-  
გრამ „არა ინგა შევლა ივანე ათაბაგმან, რომელსა შეურითა იტყვიან ამას ყოფად  
და არა თუ შეშითა. ჰო შერი, ყოველთა  
ბოროტა დასაბამისი“, - წერს ქამთააღმ-  
წერელი. ქართველები დამარცხდნენ. ამ  
სასტიკ და უაღრესად სისხლისმდგრელ  
ბრძოლაში ივანე ახალციხელი და ოთხი  
ათასი ქართველი მოკლეს, შალვა მან-  
დაბურთულებელი კი ტყვედ ჩაიგდეს და  
ერთი წლის შემდეგ წამებით ამოხალეს  
სული (ხს. 17 ივნისს). ივანე ათაბაგი კი  
ძირითადი ლაშქრით უბრძოლებლად (სა-  
მარცხვინო) გაშორდა ბრძოლის ველს,  
ბიჯნისს გაემრთა და სამეციოდ ჩიკეტა,  
სადაც ორი წლის შემდგომ მოკვდა კიდევ,  
მხედარმთავრად მისი ძე ავაგი დანიშნეს  
და ამირსაბალარობაც უბოძეს.

გარნისის აღების შემდეგ, ჯალალებინ-  
მა ქალაქი დვინი აიღო და ეს მდიდარი  
საგარეო ცენტრი მთლიანად გაძარცვა.  
რაკი დვინი დაპყრობილი ჰქონდა, ჯალა-  
ლებინი საქართველოს დედაქალაქისკენ  
გამოეშურა, მაგრამ თავრევიდან ცნობა  
მოუკიდა სამხრეთ ადარბადაგანში მო-  
სალოდნელი შეთქმულების შესახებ. მან  
საქართველოს უკვე დაკავებულ მიწა-  
წყალზე თავის ლაშერის ერთი ნაწილი  
დასტოვა და ქვეყნის რეგენა დაგალა,  
თვითონ კი ლაშერის მეორე ნაწილით  
შეიტყოფების ჩასახშობად გაემზადება.

თავრიუში ყოფნისას ჯალალედინს მთელი გულისყური საქართველოსკენ ჰქონ-

და. მან გადაწყვიტა მტრული მოქმედება აღმოსავლეთის მხრიდანაც დაწყეო და ამ მიზნით განხა და მისი სანახები დაიპყრო და აორება. როდესაც ჯალალდევინმა შეთქმულება სისხლში ჩაახშო, თავრიული დანართის სკენები გამოიერგვა. მან ათაბაგი ავაგ მხარგრძელი იხმო და შესთავაზა: „ამ მნიშვნელოვან რათა შეკვერთნეთ მტკიცითა ფიცითა და ვპრომოლოთ მტერთა (მონძოლებს). რომელ მეცე თქვენი დედაპაცი არს და მყოთ ქმარ მისა და მეცე თქვენ ზედა და ვძლიოთ ყოველთა მტერთა ჩეუნთა. უკეთუ ესე არა ჰყოთ, მოთხერდეს სამეფო თქვენი“. ჯალალდევინის უტიგარმა განზრახვამ გააოცა მეცე და დარბაზი. რუსულანმა აგაზ ს შეკვერდა, რომ არც კი მოეხმინა მისთვის“. ავაგ ათაბაგმა რუსულანის გულისწყრომა და უარი ჯალალდევინს აცნობა. სულთანმა დაშქარი აჟყარა და თბილისისკენ დაიძრა. როდესაც რუსულანმა ხვარაზმედთა მოსკოვის უკან შეაგრძინა.

მთახლოების ამბავი შეიტყო, თბილისისა  
და ისნის ციხის მცველებად დაშქარი და-  
ტრვა და საოაგეში ბოცო ჯაფელის ძენი,  
მემნა და ბოცო ჩაუკენა, თვითონ კი თა-  
ვისი შეიღებით - თამარითა და დავითით  
(რომელიც საქართველოს ისტორიაში  
ცნობილია, როგორც დავით VI ნარინი  
(1247-1293). დასავლეთ საქართველოს მია-  
შერა და ქუთაისის სასახლეში დასახლ-  
და, მისი ქმარი - არზაუმელი უფლისწე-  
ლი კი თბილისში დარჩა.

ჯალალედინი მტკვრის მარჯვნა ნა-  
პირს გამოჰყა და ობილისის ახლოს  
დასცა ბანაკი. სპარსელებმა და ხვარაზ-  
მელებმა ალყა შემოარტყეს ქალაქს.  
ბრძოლის პირველ დღეს ქართველებმა  
დაჯახბენ მტკვრი „ბრწყინვალე“ ძლიერა


ახუებნეს „ქართველოთა”, მაგრამ ისევ და  
ლატის გზით უნდა მისცემოდა უწყალო  
მტრის ხელს საქართველოს დედაქა  
ლაქი! თბილისში მცხოვრები მუსლიმები  
შეოქმულან ქალაქის დასამხობად. იმ და  
მეს ვოთომცდა ქრისტიანთა სპარსელებმ  
დალატით „განძის” კარი გაუდეს მტერს  
„იყენეს უკუ ქალაქსა შინა ტფლის  
აკცი მკვიდრნი ნათესავით სპარსენ, თუ  
უკუ ჩემებით ქრისტე ქმნილინ”. წერს ან  
ტონ კათალიკოსი. ქალაქში მტრის მოუ  
ლოდნელმა გამოზენამ ქალაქის მცველნ  
დაბანია. აბჯრის ასხმაც ვერ მოასწრო  
მემნამ ისე გაუპო შინაგანმცემელმ  
სპარსემა უმუზარადო თავი. ქართველებს  
და სპარსელებს შორის გაჩაღდა შინ  
ომი. ქალაქის დამცველები თავგანწირ  
ვით იბრძოდნენ, მაგრამ „უდმრთონი იგი  
სპარსენ, მკვიდრნი ტფლისს შინა”, რომ  
ლებიც მნამდვ ქრთველთა მოყვარულ  
აცხადებდნენ თავს, მტრის მხარეზე გა  
დაგიდნენ და ხვარაზმელებთან ერთობის  
ატყვევებდნენ და ხოცავდენ თანა-მოქა  
ლაქებს. მოდალიატეთა შორის რუსულა  
ნის ქმარი - რუმის სულთნის, არზერუმის  
მგლობელის, თოლრილ-შაპის ძე მოდის  
ედინიც იყო. იგი თბილისის დაცემი  
შემდეგ ჯალალდინს წარსდგომია და  
ისევ ისე გამამადინანებულა. მასაც, რასაც  
ვიწვევია მაჟადისონბისაგინ განდგომ  
უატებია და უხადაც დაუსაჩუქრებია.

1226 წ. 9 მარტს მტერი დედა-ქალაძე  
ში შემოიტკრა. ქალაქის მცველებმა ისნი  
ციხეს შეაფარეს თავი და მტრით გარუ  
მოცულნი იქიდან აგრძელებდნენ ნარმ  
ლას. საქართველოს მთავროსარდლობა  
ისანში ჩაკეტილ მეციონოვნეთა მდგრა  
მარეობა უმედოდ მიუწნევია. რუსულანმ  
(რომლის ცოდვათა გამოც, უდარღელო  
ბასა და დროსტარებას რომ მიეცა, მი  
სამეფოს ღმრთის მფარველობა მოა  
ლდა და დაისაჯა) მათ ციხის დატოვებ  
უბრძანა, თუმცა მეციონოვნები ამის სას  
ტიკი წინააღმდეგები ყოფილან. ბოცო  
ჯალალების დანებების პირობების შეს  
ახებ მოსალაპარაკებლად მოციქულებ  
მოუგზავნა. ზამთრის დიდი სიმარცი  
გატირვებაში მყოფმა ჯალალებინმა ის  
ნის ციხისთავის სახავო პირობები მიიღ  
და მეციონოვნეთ გზა გაუხსნა. ამიერიდა  
საქართველოს დედა-ქალაქი მთლიანხა  
ჯალალების ჩაუკარდა ხელში.

„ჰოლო უმრავლესი მტკვარს ძალით და დიდი და დადალი! ცრემლობა, ყვირილობა და ზახილობა და ვაებათა საზარელობა ხმათაგან იძრგვობა და ქალაქი ყოველი, რამეთუ უმრავლესი ერი ვითა ცხოვარი შექრიბეს და ქუალადა ხედვიდეს ზოგნი საყუარელო შვილობის ზოგნი - მმათა და მამათა, ცოლნი - ქმართა, და ქმარნი ცოლთა უპატიოდ მკუდართ მდგბარეთა, ცხენთა მიერ დათორუნვილთა და ფოლოცთა შინა ძაღლთა მიერ ზიდება.

ულთა და ორცა თუ დაფლვასა მიწასა  
შინა დირს ჰყოფდეს".

ჯალალებინის ბრძანებით ეკლესია  
მონასტრები დაანგრიეს, პატიოსანი სამ  
სხვერპლონი შეურაცხვევას, სიწმინდებით  
შეაგინეს, ეპისკოპოსები, მღვდლები და



დიაკვნები „ექლეგსიათა შინა თვით ხატ-  
თა და ჯუართავე თანა“ შემუსრეს, მონ-  
აზენები და მორჩილები დაატყვევეს და  
წამებით მოკლეს, ქალწულები შეაგინეს,  
მაგრამ მაინც ვერ დამშვიდლა „უქმეური  
იგი სული მისი“ და „განზრახვითა ეშ-  
მაკისათა“ მოიგონა სხვა სიბოროტეც:  
იკადრა და სიონის ტაძრის გუმბათი  
მოარღვევინა, ზედ თავისი „ბილწი საჯ-  
ლომელი“ დააშენებინა და გრძელი ასახვ-  
ლელი სიდიც გაადებინა. ესეც არ იქმარა  
და ყველა დატყვევებულის გამამადიანება  
განიზრახა. ამ მიზნით სიონის ტაძრიდან  
მოატანინა მაცხოვრისა და ყოვლადწმინ-  
და ღმრთისმშობლის ხატები, მტკარზე  
გადგებულ სიდებე „პირადმართ“ დაადებინა  
და ტყვებს „დათორულწვაი პატიოსანთა  
ხატთაი და სჯულის დატყვები“ უბრძა-  
ნა, ხოლო ვინც არ აღასრულებდა, თავის  
მოკვეთა ელოდა.

„არა მცირები იყო მაშინ სიმრავლეი  
ტქუეთაი”, რადგან იმ ხანებში ქალაქი სამ  
ნაწილად იყოფოდა - ისანი, თვილისი და  
კალა - და თვითეულ ნაწილში მრავალი  
ათასი კაცი ცხოვრობდა. მაგრამ ქალაქის  
მცხოვრებთა გარდა თბილისს, „ვითარცა  
უმტკიცებსა ციხესა” საშიშროების დროს,  
თავს აფარებდა ახლო-მახლო მდებარე  
სოფლების მოსახლეობაც.

ჯალაღედინის ხელქვეითებმა ურიცხვი  
ვი ქრისტიანი ხიდის თავში დააყენეს  
და გამოუკხადეს: ჩუენ მეფქს სურს,  
რომ ქრისტე უარყოო და მისი სხუ-  
ლი დაუტეოო, ხოლო ხიდზე დადგებული  
ხატები დანერწყვოო და ფეხის დადგბით  
შეურაცხყოო. ვინც შესრულებს სულთ-  
ნის ბრძანებას, გათავისუფლდება და და-  
საჩუქრდება, ხოლო ვინც ეურჩება, „აპა,  
მახვილნი ხელთა შინა ლაშქართა ჩუქნ-  
თასა” და უკველად უთაოდ დარჩებაო.  
მაშინ ზოგიერთმა სულმოკლე ქრისტიან-  
მა სიკვდილის შიშით დმერთი დაივიწყა  
და თავის დამბადებელს განუდგა, ხოლო

მრავალმა მათგანმა მხენედ მიუგო მტარ-  
ვალთ: დღრთის მადლით ჩვენ კველანი  
ქრისტიანები ვართ, ქრისტეს პატიოსანი  
სისხლით მოსყიდულები და ჩვენი წინა-  
პრეზიდან მოყოლებული აქამომდე ერთი  
დღერთის - ცხოველსმყოფელი სამების  
სახელის ქადაგაბლები. რომლის მიერ-  
აც გაშობეს ჩვენმა მშობლებმა ამ ქრის-  
ტიანელ ქალაქში და აქვე მოვინათლეთ,  
ხოლო „სიმრავლემან ცოდვათამან, რომ-  
ლითაცა კცოდეთ და ვიუსჯულოეთ  
(დანიელი 3, 27, 30.) და მცნებათა ღმრთი-  
სათა არა ვისმინეთ და არცა დავიცუნებთ  
და არცა გვეყავთ, ვითარ იგი მამცნო ჩვენ





